პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

სამშაბათი, 24 ივნისი 1924 წ. წელიწად- მეოთხე ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი არმიელი

№ 531 ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელს. 85

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

## ტყუილად ბრაზობენ.

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის შორის მიღწეულ შეთანხმებამ ყველაზედ მეტი უსიამოვნება იმპერიალისტურ ქვეყნებში მიაყენა ამერიკას. ამერიკელი კაპიტალისტები ლამის არიან გასკდენ სიბრაზისაგან. მათ აღშფოთებას და მღელვარებას არ აქვს საზღვარი. მათ ოფიციალური საპროტესტო ნოტაც კი გაუგზავნეს ჩინეთის მთავრობას ხსენებულ შეთანხმების შესახებ. განსაკუთრებით ამერიკის ბურჟუები ცხარობენ სამხრეთ-ჩინეთის რკინის გზის გადასვლით საბჭოთა კავშირის ხელში. ამ რკინის გზას კი უდიდესად სამხედრო-სტრატეგიული და სავაჭრო მნიშვნელობა აქვს. მაგრამ არა მარტო ამით არიან შეშინებული ამერიკელები. მათი აზრით „საბჭოთა-ჩინეთის მეგობრობა კარგად დაიწყო და მარტო ერთი რკინის გზით არ ამოიწურებაო". როგორც სჩანს ამერიკული იმპერიალიზმი მეტად შეფიქრიანებულია საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მეგობრობით.

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ჩინეთი შეიქნა სხვა და სხვა ჯურის იმპერიალისტების და უმთავრესად ამერიკის საჯიჯგნელი.

დღემდის უცხოელი კაპიტალისტები სძარცვავდენ და ატყავებდენ ჩინეთის მშრომელ ხალხს. ისინი მუდამ ხელს უწყობდენ შინაურ მღელვარებას და პოლიტიკური ჯგუფების ბრძოლას. მუდმივი ქიშპობა და მტრობა თვით ჩინელებში ასუსტებდა ჩინეთის ხალხის ძლიერებას, რითაც უზომოთ სარგებლობდენ ამერიკის, საფრანგეთის იაპონიის და სხვა იმპერიალისტები. მაგრამ ჩინეთის ხალხმა შესძლო უმწეო მდგომარეობიდან გამოსვლა. ის მიხვდა, რომ რომელ იმპერიალისტურ სახელმწიფოსაც არ უნდა დაენდოს, გინდ საფრანგეთს, გინდ ამერიკას და გინდ სხვას, სულ ერთია ყველა მათგანი დაინტერესებულია თავის სარგებლობით და ჩინელების გაძარცვით.

ამაში საბოლოოდ დარწმუნდა ჩინეთის მშრომელი მასები და მათ გაუწოდეს მეგობრული ხელი საბჭოთა კავშირს—დაჩაგრულთა და გაწამებულთა საუკეთესო მეგობარს.

ამერიკის თავხედურ მიმართვაზე ჩინეთის მთავრობამ მტკიცედ და შეურყევლად გასცა პასუხი, რომ ჩინეთის ხალხი დამოუკიდებელია და არავის უფლება არ აქვს მის საქმეში ჩაერიოს.

ასეთმა თამამმა პასუხმა უფრო აღაშფოთა ამერიკის მთავრობა. მაგრამ აღშფოთება აღშფოთებად დარჩება. ჩინეთმა როგორც იქნა იპოვა ნამდვილი მეგობარი და ვერავითარი მუქარა მას ვეღარ შეაშინებს.

თვით ამერიკა კი მიუხედავად იმისა, რომ ის ძლიერ გაჯავრებულია საბჭოთა კავშირზე დაბოლოს იძულებული იქნება შეურიგდეს თავის ბედს შორეულ აღმოსავლეთში და გაყვეს მათ მაგალითს ვინც იცნო იურიდიულად დიდი საბჭოთა ფედერაცია.

## შვეიცარია ზარალობს ბოიკოტით.

შვეიცარიის ნაციონალურ საბჭოში პრემიერ მოტამ შვეიცარიისა და საბჭოთა კავშირის შორის ურთიერთობის განახლებსს შესახებ განაცხადა: „როცა შვეიცარიის ბოიკოტი მოიხსნება საბჭოთა კავშირის მიერ მაშინვე მოისპობა ის დაბრკოლება რომელიც ხელს უშლის სსრკ-სთან ურთიერთობის განახლებას. შვეიცარია მიესალმებოდა საბჭოთა კავშირის შესვლას ერთა ლიგაში.

ბოლოს ის აღნიშნავს, რომ საკავშირო საბჭო არ მისდევს საფრანგეთის პოლიტიკას და აფასებს შემთხვევებს სრულიად დამოუკიდებლად.

## საფრანგეთ-ამერიკის მოლაპარაკება ს. ს. რ.კ-ს. ცნობის შესახებ.

ამერიკა და საფრანგეთი თათბირობენ ს. ს. რკ-ს ცნობის შესახებ. ამერიკის პარლამენტი არ აქვეყნებს დაწვრილებით ცნობას.

საფრანგეთის რწმუნებულ გააცნობა ამერიკის მთავრობას საფრანგეთის თვალსაზრისი რუსეთის საკითხში.

ხმებია რომ მოლაპარაკება დაიწყო საფრანგეთის თაოსნობით, რომელსაც სურს გამოიმუშაოს ამერიკასთან ერთად ცნობის პროგრამის პირობები. როგორც გადმოგვცემენ ერიოსა და მაკდონალდის მოლაპარაკებაც ამავე საკითხს ეხლება.

ს.ს.ს.რკ-ს ცნობის საკითხს გარდა ამერიკა და საფრანგეთი თათბირობენ აღმოსავლეთ-ჩინეთის შესახებ, რომლის საკითხი წამოიჭრა ჩინეთ-საბჭოთა შეთანხმებით.

როსტას კორესპონდენტის ცნობით, სახელმწიფო დეპარტამენტი რეპრესიებს მიმართავს ჩინეთის მიმართ და უარს იტყვის დაამტკიცოს ვაშინგტონის მოლაპარაკება, რომელიც ანიჭებს ჩინეთს საბაჟო გადასახადების გადიდების უფლებას.

## საფრანგეთის პროლეტარიატი მოითხოვს სსრკ-ს ცნობას.

სსრკ-სთან ურთიერთობის განახლების შესახებ „იუმანიტე" სწერს: „საფრანგეთის პროლეტარიატი, რომელიც გაფაციცებით ადევნებს თვალყურს კრედიტორების მანევრებს, მოითხოვს აღდგენილ იქნას დაჩქარებით ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

## უკან მოხედვით.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ საფრანგეთის მთავრობა, სანამ აღადგენდეს ნორმალურ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან საჭიროდ სთვლის მიიღოს ერთგვარი სიფრთხილის ზომები და შეკრიბოს საჭირო ცნობები. ამ მიზნით მოწვეულია საბჭოთა კავშირის ცნობით დაინტერესებულ ჯგუფების თათბირი. შემდეგი თათბირი მოხდება ახლო მომავალში, რათა საკითხი ჩქარი ნაბიჯით წავიდეს წინ.

## კომინტერნის მეხუთე კონგრესის გახსნა

### ამხ. ზინოვიევის სიტყვა.

#### გადახრა მარჯვნივ და მარცხნივ.

„კომინტერნის მე-5 კონგრესმა ანალიზი უნდა გაუკეთოს განვლილ ეტაპს, ამბობს ამხ. ზინოვიევი, და აღნიშნოს ის გზები, რომლითაც უნდა წავიდეთ ჩვენ მომავალში". შეჩერდა რა კომინტერნის მოკლე ისტორიაზე, მომხსენებელმა აღნიშნა კომინტერნის ძირითადი ფუძეს შექმნა მეორე ინტერნაციონალიდან, მე-



კომინტერნის მეხუთე კონგრესის წევრი ჩეხო-სლავიის დელეგატი ამხ. შმერალი.

ორესი კი— ახალი თაობისაგან, რომელიც ომის დროს ჩამოყალიბდა.

სოციალ-დემოკრატიის ნაშთი კიდევ საგრძნობია კომინტერნში, მაგრამ იმავე დროს არიან მარცხნით გადახრილი, რომლის წინააღმდეგ ბოლშევიზმი გაძლიერებულ შეტევებს აწარმოებდა.

ჯერ კიდევ მეორე კონგრესზე უკიდურესი მემარცხენე ფრთა პარლამენტში და პროფკავშირებში მონაწილეობის წინააღმდეგ წავიდა; მესამე კონგრესზე, მარტის გამოსვლებთან წარმოიშვა შეტევის თეორია, და უდავოთ მარცხნით გადახრა.

მაგრამ მეოთხე კონგრესმა ჩამოაყალიბა ერთიანი ფრონტის ტაქტიკა და მიიღო ლოზუნგი მუშურ-გლეხურ მთავრობების და იმავე დროს აწარმოებდა ბრძოლას მარჯვნით გადახრის წინააღმდეგ. „უნდა ითქვას, რომ უკიდურეს მემარცხენეთა შეცდომები შეიძლება უფრო ადვილად დაძლეულ იქნას, თუ დაუზოგავად აღმოვფხვრით მემარჯვენეთა შეცდომებს. ჩვენ მივდივართ ლენინის გზით, ვინაიდან პირველი ჩვენი შეტევა მიმართულია მარჯვნით და იმავე დროს ვიბრძვით „ჩავშური მემარცხენეობის" წინააღმდეგ.

ამბობენ, რომ კომინტერნის აღმასკომმა მოჰკვეთა მარჯვენა თავი გერმანიის კომპარტიას. მაგრამ კომინტერნს ეს დამსახურება არ მიუძღვის ვინაიდან მეტად დიდხანს ითმენდა ამ თავს.

რკპ-ში აღმოჩნდა წვრილი ბურჟუაზიული გადახრები, რომელმაც სოციალ-დემოკრატიას გაუღვიძა დიდი იმედები, რომლებიც არას დროს არ განხორციელდებიან. ასეთი მემარცხენე გადახრას ადგილი ჰქონდა საფრანგეთის და ამერიკის კომპარტიაში,

გარდა ამისა იყო აგრეთვე უკიდურესი მემარცხენე შეცდომები. აღმასკომი აწარმოებს ბრძოლას მემარცხენე რადიკალიზმის წინააღმდეგ და ნებას არ აძლევს, არავითარ თეორიულ რევიზიონიზმს".

### ფაშიზმი სულს ლაფავს.

მომხსენებელი შეეხო დღევანდელ მდგომარეობას და აღნიშნა, რომ პოლიტიკური ვითარება მიმდინარეობს უფრო ნელა, ვინემ ვფიქრობდით, მაგრამ მდგომარეობა რევოლიუციონურია. კომინტერნის ბალანსი არ არის ღარიბი, მან შესძლო მთელი რიგ მეფეთა ჩამოგდება, დაიპყრო ქვეყნის მეექვსედი ნაწილი, განავითარა რევოლიუციონური მოძრაობა აზიაში, შეარყა კაპიტალიზმი და განამტკიცა კომპარტია. მომხსენებელი ჩერდება მსოფლიო პოლიტიკურ მდგომარეობაზე და ამბობს, რომ მე-4-ე კონგრესმა იწინასწარმეტყველა დემოკრატიულ-პაციფისტური ერა, რომელიც ამ ჟამად დადგა ინგლისში, საფრანგეთში და დანიაში. მე-5-ე კონგრესი წინასწარმეტყველობს ამ უკანასკნელ ერის დასასრულს და ფაშიზმის რეაქციის დასაწყისს.

დღევანდელ გარემოებაში ახალია ის ფაქტი, რომ სოციალ-დემოკრატია იზიარებს ძალაუფლებას, როგორც მე-3-ე ბურჟუაზიული პარტია. ეს იმას ამტკიცებს, რომ ბურჟუაზიას არ შეუძლია მარტო განაგოს და იწვევს დასახმარებლად ნაწილობრივ სოციალ დემოკრატიას, ნაწილობრივ ფაშიზმს. რაც შეეხება მუშათა კლასის დაპყრობას, რიცხვობრივ კომინტერნი თითქმის ისეთი ძლიერია, როგორც მეორე ინტერნაციონალი, ამიტომ მას უქადის იგივე საფრთხეები.

### კომინტერნის მთავარი ამოცანები.

კომინტერნის მთავარ ამოცანებს შეადგენს—მოაწყოს კომპარტია წარმოების უჯრედების საფუძვლებზე, გაატაროს პროფკავშირთა სწორი ტაქტიკა და სწორი ტაქტიკა აგრეთვე ნაციონალურ და გლეხთა საკითხებში.

საფრანგეთის და გერმანიის სოციალ-დემოკრატებში არსებულ განხეთქილების წინააღმდეგ, ჩვენ ვილტვით პროფესიონალურ მოძრაობის ნამდვილ გაერთიანებისაკენ მთელ მსოფლიოში.

ეს პოლიტიკა ჩვენ გვესმის, როგორც ტაქტიკა ბრძოლის ნელა განვითარების პერიოდში. მაგრამ ზოგიერთ ამხანაგებს არ სჯეროდათ, რომ ერთიანი ფრონტის ტაქტიკა

არის მხოლოდ აგიტაციისა და მასების მობილიზაციის საკითხი.

მუშურ-გლეხურ მთავრობის ლოზუნგიც შეცდომით ესმოდათ ზოგიერთებს. ეს ლოზუნგი იშვა რუსეთის რევოლიუციისათვის, სადაც ის ნიშნავს პროლეტარიატის დიქტატურის ფსევდონიმს. ზოგიერთ პარტიებს ეს ესმოდათ, როგორც კოალიციონური მთავრობა მუშათა და გლეხთა სხვა და სხვა პარტიებისაგან შემდგარი.

დიდი კამათი იყო იმის შესახებ, თუ საიდან ყოფილიყო ერთიანი ფრონტი—ზემოდან თუ ქვემოდან. ერთიანი ფრონტი ზემოდან არას დროს არ უნდა სწარმოებდეს, მაგრამ სამწუხაროდ ეს ფორმა სწარმოებს უფრო ხშირად. ჩვენ არ გვინდა ერთიანი ფრონტის ტაქტიკის რევიზია, მაგრამ ჩვენ ვიბრძვით ამ ტაქტიკის ოპორტუნისტულ დამახინჯების წინაამდეგ.

### მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგი.

მუშურ-გლეხური მთავრობა სწორი ლოზუნგია, ვინაიდან ის არის პროლეტ. დიქტატ. გასაგები ფორმა მასსებისთვის.

ეს ლოზუნგი შეიძლება არსებობდეს იქ, სადაც ბრძოლა ძალა-უფლებისათვის პირველ რიგში სდგას. ეს ტაქტიკა საუკეთესო გარანტიაა გერმანიის პროლეტარიატისთვის.

### ინგლისის კომპარტიის მნიშვნელობა.

ამხ. ზინოვიევი ეხება ცალკე ქვეყნების მდგოეარეობას და აღნიშნავს რომ ინგლისის კომპარტია პოლიტიკურად წარმოადგენს კომინტერნის უმთავრეს სექციას. ინგლისის კომპარტიას არ ყავს 3.000 წევრი მაგრამ მისი გავლენა დიდია. მისი ამოცანები მეტად ძნელია, ვინაიდან მუშებს კიდევ სწამთ მაკდონალდი.

კონგრესის მთავარი ამოცანაა გაანადგუროს საფრთხე მარჯვნიდან, ასწავლოს უკიდურეს მემარცხენეებს, რომ იბრძოლოს მათ წინაალმდეგ და შექმნას მჭიდროდ შეკავშირებული კომპარტია.

### საუკეთესო ძალები კომინტერნს

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კომინტერნმა უნდა სთქვას საბოლოო სიტყვა რ. კ. პ-ს დისკუსიის შესახებ, უნდა უთხრას ოპოზიციას რომ ფრაქციული ტაქტიკა დაუშვებელია. ლენინი აღარ გვყავს, ამიტომ საჭიროა ათასჯერ მეტი დისციპლინა. კომინტერნის აღმასკომმა უნდა დასაჯოს დისციპლინის დამრღვევნი, როგორც მარჯვნით ისე მარცხნით.

რ. კ. პ. საუკეთესო ძალებს აძლევს კომინტერნს, ასევე უნდა მოიქცნენ სხვა ქვეყნის პარტიებიც და შექმნან მსოფლიო კომპარტია, რომელიც მიიყვანს პროლეტარიატს გამარჯვებისაკენ.

## 21 ივნისის დილის სხდომის მოკლე ახზარ(?)ში.

### კამათის გაგრძელება ამხ. ამხ. ზინოვიევის და ვარგას მოხსენებების გარშემო.

იტალიისა და ჩეხო სლავაკიის კომპარტიის წარმომადგენლები აღნიშნავენ თვიანთ ქვეყნის კომპარტიის ტაქტიკას.

შმერალი აღნიშნავს. რომ ჩეხო—სლავაკიისა და სხვა ქვეყნის პარტიები, გარდა რკპ-სი, ვერ არიან საკმაოდ ბოლშევიკური.

## ამხ. რადეკის გამოსვლა.

რკპ ს დელეგაციის ნებართვით ამხ. რადეკი გამოდის თავის თვალსაზრისის დასაცავად. ის შეეხო საქსონიის შემთხვევებს და განაცხადა, რომ მან ვერ შეაფასა თავის დროს შექმნილი რევოლიუციონური სიტუაცია და სთვლის შეცდომად კომუნისტების შესვლას საქსონიის მთავრობაში ფაბრიკა-ქარხნების ყრილობის ნება დაურთველად. დამარცხების უმთავრეს მიზეზს ამხ. რადეკი ხედავს მასიურ ორგანიზაციების სიმცირეში.

ამ ჟამად სდგას მთავარი საკითხი: უნდა უარყოდ თუ არა პრინციპიალურად კომუნისტებმა კოალიცია სოციალ დემოკრატებთან და სხვა მუშათა პარტიებთან. ამხ. რადეკი პრინციპიალურად უარყოფს წინაამდეგია.

ამხ. რადეკი აკრიტიკებს გერმანიის კომპარტიის ცეკას თეზისებს, რასაც მოყვება კონგრესის უმეტესობის პროტესტის ხმები. რადეკი ამტკიცებს, რომ კომპარტიის აგიტაცია შესუსტდა და რომ კომპარტია ვერ აქცევს საკმაო ყურადღებას საშუალო ფენებში და გლეხთა შორის მუშაობას.

დასასრულ ამხ. რადეკი აღნიშნავს, რომ უმცირესობა ემორჩილება კონგრესის გადაწყვეტილებებს, მაგრამ ის პროტესტს აცხადებს მისი ბრალდების წინაამდეგ ოპორტუნიზმში

## ანტიფაშისტური მოძრაობა.

### მატეოტის მკვლელობის გარშემო.

პრესენ-ჟერვეში, პარიზის ახლოს კომუნისტებმა მოაწყვეს მთელი რიგი ანტიფაშისტური მანიფესტაციებისა.

## მუსოლინი შიშობს

რომიდან მიღებულ ცნობით იტალიის პროვინციებში მოხდა ანტიფაშისტური გამოსვლები მღელვარების თავიდან ასაცილებლად მუსოლინს მუდმივი თათბირი აქვს ფაშისტურ ლიდერებთან.

შესაძლებელია დეპუტატებმა უარი განაცხადონ იტალიის პარლამენტში მუშაობის განახლებაზე.

### ფაშისტური ყრილობები.

ბოლონიაში და იტალიის სხვა ცენტრებში მოწვეულია ფაშისტური ყრილობები.

იტალიაში მოუთმენლად მოელიან მუსოლინის სიტყვას სენატში, სადაც როგორც ფიქრობენ პრემიერი გაარკვევს საბოლოოდ მთავრობის პოზიციას მატეოტის მკვლელობის საქმეში.

## მკვლელები გამოტყდნენ.

„მასალ-ჟერო“-ს ცნობით დუმინი გამოტყდა მატეოტის მკვლელობაში. მან დაასახელა მთავარ მონაწილეებად როსი, ფილიპელი და მარინელი.

მატეოტი მოკლულ იქნა ავტომობილში, რის შემდეგ მისი გვამი დასწვეს.

### ერთმანეთს აბრალებენ.

„ნიუ იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი იუწყება: „ჩქარა იქნება გამოქვეყნებული მთავარ დამნაშავეთა საბრალმდებლო ოქმი. დაპატიმრებული დამნაშავეები ერთი მეორეს აბრალებდენ დანაშაულს. აღმოჩნდა რომ მკვლელთა მეთაური და ფაქტიური მკვლელი არის დუმინი.

ის სცდილობდა შეემცირებია თავისი დანაშაული და მიუთითებდა მარინელზე ფილიპელსა და როსზე. მარინელიმ, და ფილიპელიმ განაცხადეს, რომ ისინი მოქმედებდენ პოლიტიკური მოსაზრებით და რომ ისინი გახდენ სხვა პირების იარაღად. რამდენად მართალია უკანასკნელი განცხადება, ჯერ ჯერობით არ არის გამორკვეული. თუ იქნება დამტკიცებული. რომ დეპუტატი განზრახ არის მოკლული, იტალიის კანონების ძალით დამნაშავეებს მიესჯებათ 20—30 წლით კატორღა.

### მუსოლინის კრიზისი.

იტალიის ოპოზიციონური პრესა ლანძღავს ფაშისტურ ლიდერებს. რომლებიც ურევიან მატეოტის მკვლელობის საქმეში. მათი მიზანია დაუკარგონ ნდობა დღევანდელ მთავრობას და აიძულონ მუსოლინი გადადგეს.

ფაშისტური გაზეთები მოითხოვენ, რომ დაპატიმრებული გენერალ-დირექტორი ფაშისტურ მილიციისა, სენატორი დე ბონო სარგებლობს პარლამენტარულ შეუვალობით და მისი გასამართლება არც ერთ ტრიბუნალს არ შეუძლია, გარდა სენატისა, რომელიც მოწვეულ უნდა იქნას როგორც უზენ. სასამართლო.

## ქვეითი ჯარის საბრძოლო სამსახური.

(დასასრული.)*)

2. უფროსებს უხდებათ არა მარტო თვით ისწავლონ არამედ ჯარსაც უნდა შეასწავლონ. სახელმძღვანელო „ქვეითი ჯარის საბრძოლო სამსახური“ დიდ მუშაობას ამ მხრივ ჩვენი ჯარისათვის არ მოითხოვს, რადგან მისი გამოცემა მოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც უვადო შვებულებაში დაითხოვეს ძველები და მათი ადგილი დაიკავეს ახალ წვეულ წითელ არმიელებმა. შიში იმის გამო, რომ თუ ვინიცობაა უვადო შვებულებაში დათხოვნილ წითელ არმიელების მოწვევა მოხდა წითელ დროშის ქვეშ შრომის დასაცავად კაპიტალის თავდასხმისაგან, ამ უკანასკნელთ არ ეცოდინებათ ახალი სახელმძღვანელო, ამ მხრივ შიში რასაკვირველია, უსაფუძვლოა, რადგან პირველყოვლისა ამას ისინი გაივლიან ტერიტორიალურ ნაწილებში გასამეორებლად გაწვევის დროს და მეორეს მხრივ ახალი სახელმძღვანელო საერთოდ არ ცვლის ჯგუფურ ტაქტიკის საფუძველს, რაზედაც შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

3. წესდებების ცვლა, შესწორებების და ცვლილებების შეტანა მასში კიდევ არ ნიშნავს აზრთა რყევას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ არც მსოფლიო და არც სამოქალაქო ომიანობის დროს არ ქონდათ ჯგუფურ ტაქტიკაზე წარმოდგენა. პირველად ის იყო შემოღებული 1918 წ. დასავლეთ ფრონტზე შატო-ტიერთან მომხდარ ბრძოლის დროს და მხოლოდ მსოფლიო ომის დასასრულს ის თანდათან ჩამოყალიბდა და მიიღო მოქალაქეობრივი უფლებები, როგორც ბრძოლის საწარმოვო საშუალება, რაც შეფარდებულია ტეხნიკის განვითარების და გაუმჯობესების საშუალებასთან საერთოდ და კერძოთ ავტომატიურ იარაღის ფართე გამოყენებით.

ჯგუფურ ტაქტიკის ის ფორმები, რომელიც ამ ჟამად მიღებულია საფრანგეთის და გერმანიის ჯარებში ერთი და იმავე თვისებისაა მხოლოდ დეტალებში განსხვავდებიან, შემოღებულ იქნა არა უეცრად, არამედ მთელი რიგი ცდების პროცესში მშვიდობიან დროის სწავლებაში და მრავალ კუთხური სროლისდროს. ასეთივე კვლევა-ძიების ხანაში იმყოფება ამ ჟამად წითელი ჯარი, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს შეხედულებათა მერყეობას, არამედ ეს მისწრაფვაა ახალი ბრძოლის ფორმებში შესწორებების შეტანისა, რომელიც გამოწვეულია ერთის მხრივ განსაკუთრებული პირობების გამო, რომელშიაც წითელ ჯარს მოუხდება თავდაცვითი ბრძოლის წარმოება შემოტევისაგან (მთელი ხმელეთის საზღვრების სივრცეზე). და მეორეს მხრივ თანამედროვე სამხედრო ტეხნიკის მდგომარეობით.

4. აუცილებელია აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელო „ქვეითი ჯარის საბრძოლო სამსახურ“-ი არ ცვლის ჯგუფურ ბრძოლის იდეას, მხოლოდ გასაგებად ხდის ძირითად მის დებულებებს. ამხ. ამხ. უფროსებს უსათუოდ ახსოვთ 1922 წ. № 28 მთავარ სარდლის ბრძანებაში დამატებითი ინსტრუქცია, რომელიც მეტად ზერელედ განმარტავდა ბრძოლის საწარმოვო ახალ ფორმებს, მისმიერ გამოწვეულ მასთან დაკავშირებულ საშტატო-ორგანიზაციულ ცვლილებებს. ინსტრუქცია იძლეოდა მხოლოდ გამოსავალ წერტილებს, რომელზედაც უნდა აშენებულ იყო ჯგუფური ტაქტიკა, არავითარი დეტალები და რეცეპტები ბრძანებაში არ იყო, რადგან საჩვენებელ ასეულების შექმნა იყო მხოლოდ ცდა, რაზედაც უნდა აშენებულ იყო მომავალი მუშაობა მთელი ჯარის რეორგანიზაციის მოსახდენად და მის სასწავლად, უსათუოდ იქნებოდა დიდი შეცდომა ამ ცდების უმისოდ გარდაექმნათ უეცრად სუყველაფერი, ეთქვათ უარი ძველზე ახალის შექმნამდე და გათვალისწინებამდე. საცდელად შექმნილი ასეულები შეიცვალა ცეცხლის ასეულებად. მიღებულ ცდებს მოყვა დამატებითი განმარტებანი და მითითებანი. რაიც გამოიხატა 1923 წ. სახელმძღვანელო „ქვეითი ჯარის ბრძოლა“ ს და ეხლანდელ სახელმძღვანელო „ქვეითი ჯარის საბრძოლო სამსახური“-ს გამოცემებში.

5. უკანასკნელი სახელმძღვანელო, როგორც ამას ამტკიცებს თვით მისი სახელწოდება, ისახავს უფრო ფართე და სრულ მიზანს, სახელდობრ, იხილავს არა მარტო ქვეითი ჯარის საბრძოლო მოქმედებებს, როგორც ასეთებს, არამედ ქვეითი ჯარის გამოყენების საფუძვლებს ყოველგვარ შემთხვევებში ომის დროს. ამ ნაირად ის შინაარსიანს ხდის პირვანდელ სახელმძღვანელოს და ეს გამოიხატება არა მარტო მხოლოდ იმაში, რომ პატარა წიგნაკის მაგივრად ჩვენ გვაქვს ეხლა 178 ფურცლიანი წესდება, არამედ იმაში, რომ ეს ერთ და იმავე დროს სახელმძღვანელოცაა და „წესდებაც“, რაიც ამარტივებს ერთხელ მიღებულ დებულებებს,

განსაკუთრებით დაუფასებელია სახელმძღვანელოში „ქვეითი ჯარის საბრძოლ სამსახური“ ის რომ მასში წითელი ხაზით აღნიშნულია სხვა და სხვაგვარ ჯარის ნაწილებთან კავშირი და ერთი მეორეს დახმარება და წინასწარ გაითვალისწინოს მოწინააღმდეგის საჰაერო ფლოტის მოქმედება და აირების მოხმარება. (მომწამვლელი ნივთიერებანი)

6. დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ახალი სახელმძღვანელო რამოდენიმეთ ცვლის სახელმძღვანელო „ქვეითი ჯარის ბრძოლა“-ში მიღებულ ტერმინოლოგიას, რითაც გასაგებად ხდის უფროსშემადგენლობისათვის მათთვის გაუგებარ საკითხებს.

დასასრულ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ სახელმძღვანელო „ქვეითი ჯარის საბრძოლო სამსახური“ წარმოადგენს ძირითად სახელმძღვანელოს არა მარტო ქვეითი ჯარის უფროსშემადგენლობისათვის, არამედ დანარჩენ გვარ ჯარის უფროსშემადგენლობისთვისაც. ქვეითი (მსროლელი) ჯარი შედარებით სხვა ჯარის ნაწილებთან უფრო მრავალ რიცხოვანია, მან უნდა გადაიტანოს მთელი სიმძიმე თანამედროვე ომისა, ის მთავარი ღერძია, რომლის გარშემო ვითარდება დანარჩენ გვარ ჯარის ნაწილების მოქმედება, და ბოლოს ის იგებს ბრძოლას; ამიტომ კავალერისტმა, არტილერისტმა, ჯავშნოსანმა, მფრენავმა, მესანგრემ, მენიღაბეებმა, ქიმიკოსმა უნდა იცოდენ, როგორ მოქმედებს ქვეითი ჯარი, რომ თავის დროზე და წინდახედულად დაეხმარონ მას.

ჯარის ყველა რიგის ნაწილების უფროსშემადგენლობამ უნდა შეისწავლოს სახელმძღვანელო „ქვეითი ჯარის საბრძოლო სამსახური“, და მას საფუძვლიად უნდა დაუდვან ახალ წვეულთა სწავლება. მეტი მთლიანობისათვის ამის შესასწავლად აუცილებლად საჭიროა სამხედრო აღზრდის გამოცდილების გაზიარება, სპეციალურ ჯარის რიგების უფროსშემადგენლობა განსაკუთრებულ ყურადღებით უნდა მოეპყრას ქვეითი ჯარის უფროსების გამოცდილებებს, რომ საერთო მოქმედების დროს მიღწეულ იქნეს სრული თანხმობა და დაცული იქნეს ჰარმონია.

პუგაჩოვი.

*) იხ. „წ. ა.“ № 530.




## როგორი შთაბეჭდილება მოახდინა წითელმა ყაზარმამ ახალ წვეულებზე.

ასე არ გვეგონა, როდესაც წითელი ჯარის რიგებისაკენ მოვემართებოდით, მართალია ცოტა რამ გაგონილი გვქონდა წითელი ჯარის ცხოვრების შესახებ, მაგრამ ამდენს მაინც არ მოველოდით. აბა ფიქრად როგორ მოგვივიდოდა, რომ ყაზარმაში ამდენ მზრუნველობას გაგვიწევდა ჩვენზე ვინმე.

ძველი ჯარის ყოფა ცხოვრების შესახებ ბევრი რამ გვქონდა გაგონილი და ეს გარემოება საგრძნობლად ადუნებდა ჩვენს წამოსვლის სურვილს.

ასე კი არ ყოფილა თურმე. წითელი ყაზარმა ბევრ რამეს იძლევა.

აქ ჩვენ დაგვხდა საკუთარი სკოლა. ყველა ჩვენი განვითარებისთვის ზრუნავს. ყველა ჩვენ გვაქცევს ყურადღებას, ყველა ჩვენით არიან დაინტერესებული. ჟურნალ-გაზეთები, მასწავლებლები, წიგნები, პოლიტიკური ხასიათის საუბრები, საერთაშორისო მდგომარეობაში გარკვევა — აი რით გვიმასპინძლდებიან ჩვენ აქ სამხედრო სწავლებას გარდა.

არა ნაკლები ყურადღება ექცევა სხვა მოვლენებსაც. თუ ძველ ჯარში მოლაშქრე ყოველგვარ მოქალაქეობრივ უფლებებს იყო მოკლებული, დღეს ჩვენ ყველაფერში გახსნილი გვაქვს გზა.

ჩვენც არ ვიზარებთ შრომას. ვკითხულობთ წიგნებს, ჟურნალ გაზეთებს, ვერკვევით საერთაშორისო მდგომარეობაში. ჩვენ მედგრად დავდგებით ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა სადარაჯოზე, ერთ ხელში წიგნი და მეორეში თოფი უფრო გაგვიადვილებს ამ დიდი საქმის შესრულებას.

გაუმარჯოს წითელ ჯარს, რომელიც ამზადებს პოლიტიკურად-კულტურულად და სამხედრო ცოდნის შეიარაღებულ წითელ პიონერებს.

1-ლი ლეგ. წ. არ. **მუქერია.**

## საყურადღებო გამოფენა.

შაბათს, 21 ივნისს ტფილისის საზაფხულო საგარნიზონო კლუბში (პლეხანოვის ქუჩა) გაიხსნა კავკასიის წითელ-დროშოვან არმიისა და ყველა ადგილობრივ რესპუბლიკების სამხედრო ნაწილების საბიბლიოთეკო მუშაობის გამოფენა.

აქ წარმოდგენილი არის, როგორც კ. წ. დ. არმიის საბიბლიოთეკო მუშაობა — ისე ქართულ, სომხურ და აზერბეიჯანულ დივიზიებისა. უპირველეს ყოვლისა, თვალში გეცემათ წარმოდგენილ მასალების დიდი სიმრავლე.

გამოფენას მეტად დიდი არე უკავია — მაგრამ მაინც შესამჩნევათ ეტყობა შემჭიდროება. ბევრი მეტად საყურადღებო მასალაა გამოფენილი საბიბლიოთეკო მუშაობიდან. თითეულ რესპუბლიკათა დივიზიებს — განსაზღვრული ადგილი აქვთ დათმობილი — ასე რომ მნახველი იოლათ ერკვევა რომელი ექსპონატი — რომელ ნაწილს ეკუთვნის.

გამოფენაზე დიდ ყურადღებას იპყრობს ქართული დივიზიის მასალები, რომლებიც მეტის-მეტად შერჩეულია და სუფთადაა წარმოდგენილი, რაც სამწუხაროთ ზოგიერთ ნაწილებს აკლიათ.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც გამოფენის დათვალიერებიდან სჩანს, ზოგ ნაწილებს მეტი ყურადღება გადმოგზავნილ მასალათა სიმრავლისთვის მიუქცევიათ. ასე, რომ ძალიან ხშირად შეხვდებით სრულებით უმნიშვნელო პლაკატისა თუ ლოზუნგის გამოფენას, თითქმის ერთ და იმავე შინაარსისაა რამოდენიმეჯერ რაიც ნაკლად უნდა ჩაითვალოს. ასე, რომ ბევრი ნაწილები ძალიან შემჭიდროებულია (მათი სიმრავლის გამო) ზოგან პირდაპირ გ დაწებებულია თავებით და ეს ვიმეორებ — მეტად აბრკოლებს მათ გაცნობას.

გამოფენაზე არის წარმოდგენილი მრავალი მეტად საყურადღებო დიაგრამები და სხ.

ეს გამოფენა უსათუოდ მნიშვნელოვანია არა მარტო სამხედრო ნაწილების ბიბლიოთეკებისათვის, არამედ მრავალ სამოქალაქოსათვისაც და საჭიროა მას საბიბლიოთეკო საქმის ყოველი მოყვარული დაათვალიერებდეს...

ეს მით უფრო, რომ ამ ორიოდე დღის შემდეგ მასალები მოიხსნება და მოსკოვს გადაიგზავნება. მეტად დიდმნიშვნელოვანია როლი ბიბლიოთეკისა წითელ ჯარში კულტურულ მუშაობისთვის და ამ საქმის (ამ შემთხვევაში გამოფენის) გაცნობა — ყოველ პოლიტმუშაკისა, მეთაურებისა და წითელ არმიელისთვისაც — კი — საჭირო და სასარგებლოა.

გამოფენაზე სპეციალურად დანიშნული ინსტრუქტორები შესაფერ ცნობებსა და განმარტებებს იძლევიან.

აქვე, ბაღში სწარმოებს საჩვენებელი ხმამაღალი კითხვა წითელ არმიელებისთვის და სხ.

რაც შეიძლება — მეტი წითელ-არმიელები გამოფენაზე და რაც შეიძლება უკეთ გაცნობა და შესწავლა ამ საყურადღებო გამოფენისა.

**გრიან.**

## რაზედ ჩივიან

### რა ხდება ქ. მს. დივიზიის ექსპედიციაში.

20 ივნისს შევედი ქ. მ. დ. ექსპედიციის სასკოლო ნივთების მისაღებათ მოთხოვნილება მქონდა საარტილერიო პარკიდან, რომელსაც ხელს აწერდა საავიტაციო საპროპაგანდო ნაწილის უფროსი.

მოთხოვნილების ნუსხა წარედგინე ექსპედიციის გამგეს მახარაძეს. არ ვიცი რატომ და ამხ. მახარაძე ძალიან გულგრილად შეხვდა ჩემს მოთხოვნილებას. ჯერ გვითხრა ნივთები გადმობარებული არა მაქვს და გაცემა არ შემიძლიაო, შემდეგ კი დათანხმდა. დაიწყო ნივთების გაცემა მოათავა და 5-ე ლეგიონიდან მიმღებს ხელი მოაწერია ქვითარზე, ამ დროს შემოდის კვახაძე და ეუბნება მახარაძეს, რომ ნავთების გაცემა არ შეიძლებაო. ამნაირად გადმოლაგებული ნივთები ისევ უკან დაიბრუნეს. ჩვენს შეკითხვაზე თუ რად არ იძლევიან ნივთებს, გვიპასუხებს არ შეიძლება და არ გაძლევთო. ეს დაუშვებელია. თუ არ შეიძლება წინდაწინვე განაცხადონ და ტყვილა უბრალოდ დროს ნუ გვაკარგვინებენ. შემდეგ საჭიროა გამოირკვეს კვახაძეა მახარაძე თუ ვიღაც მესამე, ექსპედიციის გამგე, რომელიც მათ მაგიერ გვიპასუხებდა შეკითხვებზე.

**ჩხიკვიშვილი.**

## კიდევ დაუდევრობის გამო

პირველი ლეგიონის სამნეო ნაწილი ვერ დგას თავის სიმაღლეზე. არ იქნა და არა, თავის დროზე ვერ მივიღეთ ჯამაგირები, რაც ყოველთვიურად სისტემატიური დაგვიანების გამო დიდ აღელვებას იწვევს ამხანაგებში. როგორც თბილისში მდგომს ისე ყველა ზურგის ნაწილებმა უკვე მიიღეს ჯამაგირები, ჩვენ კი დღესაც არ ვიცით თუ როდის მოგვცემენ. მთელი დანაშაული ასეთ მდგომარეობის შექმნაში სამნეო ნაწილს აწევა თავზე. წარსული თვის გასწორებული უწყებები თავის დროზე ვერ იქნა წარდგენილი სადაც ჯერ არს და ჯამაგირებიც ამიტომ იგვიანებს. ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოეღოს სამნეო ნაწილის ასეთ გულგრილობას და საჭიროა შესაფერი ყურადღება მიექცეს ამას, რომ მომავალში აღარ იქნეს განმეორებული.

დაუდევრობის მტერი.

## შთაბეჭდილება ყაზარმიდან.

პირველი იყო ჩემი მუშაობა ჯარში, პირველად ვნახე, ჩემი თვალით ის, რაზედაც ძალიან ხშირად გვესმის და ვკითხულობთ.

ჯერ კიდევ დილა იყო, როდესაც ყაზარმაში მივედი. გასაოცარი იყო ჩემთვის მისი ნახვა: ის იმ ჩანგრეულ უსუფთაო ჯანგვალს აღარ წარმოადგენდა, როგორიც მე მენახა. მზერად გადავიქეცი; ისე ვტრიალებდი, როგორც საჩუქრით გახარებული ბავშვი: ყაზარმის მორთულობა გამოფენას მომაგონებდა: კედლები რევოლიუციის ბუმბერაზთა სურათებით, სალოზუნგო პლაკატებით, ლამაზათ შედგენილ დიაგრამებით და სხვა სამხედრო სავარჯიშო ფიგურების სურათებით. იყო შემოსმული იატაკი. ლამაზათ და სუფთად გაწყობილი ნაწილები. ყველა ამაც დიდი გაკვირვება გამოიწვია ჩემში.

ზოგიერთ საწოლებზე ჩამომსხდარი ჯგუფ-ჯგუფად წითელ არმიელები გაზეთის ფურცლებს ჩასჩერებოდნენ. ხალისიანად და ჯანსაღად გამოიყურებოდენ ყველა. მოულოდნელად გაისმა მამასახლისის, ნახევრათ ბრძანებით ხმა რომელმაც დაარღვია მათი მყუდროება; ისინი დაუყონებლივ დაიშალენ და გაემართენ მამასახლისისაგან მითითებულ ადგილისაკენ.

ორმოცდა ათამდე წითელი არმიელი გარს შემოგვერტყენ. მცირე საუბრის და წრეებში მუშაობის შესახებ ზოგიერთ განმარტებების მიცემის შემდეგ, ისინი დიდის აღფრთოვანებით ჩაეწერენ სხვა და სხვა ჯგუფებში სამუშაოთ.

სიების შედგენას ვათავებდი, უნდა ავმდგარიყავ, როდესაც ჩემს გვერდით მომხდარ ორ წითელ არმიელის საუბარი შემომესმა. დავინტერესდი. მთელი ჩემი გულის ყური იქეთკენ იქნა მიქცეული.

„კაცო“ — ეუბნება ერთი მეორეს „რათ არ უნდა ვისწავლოთ? თვითონ მოდიან ეს ოჯახ აშენებულები, გვეხვეწებიან, წიგნებს გვაძლევენ. გაზეთებს გვიგზავნიან, წრეებში გვიწვევენ, საათებს და დღეებს აცდენენ ჩვენთვის“ „ხო! და“, გააწყვეტინა მეორემ „საწამებელიც აღარ ვიქნებით, რომ დავიზაროთ. ეხლა თუ რამეს შევიძენთ თორემ, მერე ტყუილია. უნდა გამოვიყენოთ ეს დალოცვილი დრო.

**გ. ლეშკაშელი.**

## ბინის საკითხი ჩვენს წითელ ჯარში.

1914 წლიდან, როდესაც გაჩაღდა იმპერიალისტური ომი, ქალაქი განიცდის საცხოვრებელ ბინების მხრივ მწვავე კრიზის. ბინის საკითხი გაცხარებულ მსჯელობის საგანია, როგორც პროფ-ორგანიზაციების კრებებზე, ისე საბჭოთა პრესის ფურცლებზე. ამ შემთხვევაში ჩვენ მიზნად არ ვისახავთ აღნიშვნას საერთო მასშტაბით ამ კრიზისის გამომწვევ მიზეზებს და მისგან თავის დამღწევ საშუალებების. როგორც ვიცით, ბინის კრიზისს ქართულ ლაშქარის უფ და პოლიტ-შემადგენლობაც განიცდის. უბინაობა დიდათ უშლის ხელს ნაყოფიერ მუშაობის მსვლელობას. სამხედრო უწყების თანამშრომელი ვერ იშოვის ბინას აღმასკომის საბინაო განყოფილებაში და ვერც ქალაქის კომენდანტთან, რადგან მოთხოვნილება ათჯერ აღემატება საბინაო განყოფილების დაკმაყოფილებელ უნარს.

მაგრამ მიუხედავათ ამისა გამოსავალიც არის.

ბინის კრიზისის სიმწვავის შენელება შესაძლებელია საერთო ძალღონით. ერთ-ერთი მიზანშეწონილი ზომაა, არსებული ბინების შენახვა და მათი კანონიერი განაწილება. ამ მხრივ კი არსებული მდგომარეობა ვერაა მისაღები, რაც, თითქმის არ საჭიროებს მტკიცებას. ხშირია შემთხვევა, რომ 2—3 სულს უკავია 4—5 ოთახი, ამ დროს კი დანარჩენები ცხოვრობენ ნესტიან ოთახებში და ხან კი სარდაფებშიც, რისაც შედეგად ყვება ავადმყოფობა, რიგ გარეშე შვებულებები, კურორტზე გაგზავნა და ათასი უამრავი ხარჯი. აუცილებელი საჭიროება მოითხოვს დაარსებული იქნეს სათანადო კომისია, იმ ორგანიზაციასთან, რომელიც ამ საქმეს განაგებს, რომელსაც დაევალება სამხედრო ბინების რაოდენობის გამორკვევა ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ბინების მოთხოვნილების, რის შემდეგ უნდა მოხდეს ბინების არა მქონეთა შორის კანონიერი განაწილება.

**ს. ლ.**

## გახსოვდეს ცხენის მომვლელო წითელ არმიელო!

## 23 მცნება.

(გაგრძელება)

16. ლაქრობის დროს, როცა ღამით ცხენი თავლაში უნდა დაება, წინასწარი ყურადღება მიაქციე იმას, არის თუ არა თავლაში სისუფთავე; დაათვალიერე ცხენის სიმაღლეზე კედლები, რომ ლურსმები და სხვა რამ ამ გვარი წვეტიანი საგნები არ იყოს იქ შერჭობილი და ცხენი არ დაშავდეს; შეეკითხე თავლის პატრონს: იდგენ თუ არა წინეთ ამ თავლაში ავადმყოფი ცხენები და ჯანმრთელები არიან თუ არა ამ ჟამად იქ მდგომი მისი ცხენები? თუ თავლის პატრონის ცხენებში რამე გადამდები სნეულებით ავადმყოფი ცხენები აღმოჩნდებიან, შენი ცხენი როგორც იმ თავლიდან, ისე იმ ეზოდანაც, გადამდებ სნეულებათაგან თავისუფალ სხვა თავლაში და ეზოში გადაიყვანე.

17. უნაგირი და ცხენის მოწყობილობა ყოველთვის თავის ადგილზე შეინახე და საკვებს მიწაზე ნუ მოაპნევ.

18. თუ შეამჩნიო, რომ ცხენი საკვებს არა ჭამს, ან რითიმე ავად არის, ნუ იფიქრებ ავადმყოფობა მას „თავისით გაუვლის“, იმ წამსვე აცნობე გუნდის უფროსს და ავადმყოფი ცხენი ვეტ-ექიმს ან ვეტ-ფერშალს აჩვენე.

19. თუ შენიშნო, რომ ცხენს ცხვირიდან რაიმე სითხე გადმოსდის სიფრთხილით მოიქეცი. და დაუყონებლივ აჩვენე იგი ვეტ-ექიმს ან ვეტ-ფერშალს. შეიძლება ეს საშიში და გადამდები სენი-საპი-იყოს.

20. ხედნის შემდეგ ყოველთვის დაათვალიერე შენი ცხენი და გაიგე ხომ არ მოშობია ან ხომ არ დაუკარგავს მას ნალები.

21. თუ დროზედ არ აცნობებ ცხენის ავადმყოფობას ვეტ-პერსონალს და ან მოშვებულ ნალების თავის დროზე ფლოქვებზე მიმაგრებას დაიზარებ, შესაძლებელია ცხენი დაიღუპოს, და შენ უცხენოდ დარჩე.

22. თუ ზედმეტი ნალები გქონდეს გაუფრთხილდი მათ ისე, როგორც პურს უკანასკნელი საჭიროებისათვის. გაჭირვების დროს ნალები ცხენისათვის უფრო საჭიროა, ვიდრე შენთვის ფეხსაცმელები.

23. მოუარე და გიყვარდეს ცხენი: მას ყოველთვის შეუძლია მაგარი სამსახური გაგიწიოს. კარგი ცხენით მტერსაც დაამარცხებ და თავსაც გადაარჩენ. ცხენი ერთგული, თავდადებული და უანგარო მუშა

ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკისა. ცხენი ისეთივე ამხანაგია შენი, როგორც ყველა წითელ არმიელი.

აასრულებ ყველა ამ 23 მცნებას, ამხანაგო წითელო არმიელო, შენი ცხენი არა ნაკლებ 13 წლისა ნაყოფიერად იმსახურებს ჩვენს წითელ ლაშქარში. არ აასრულებ, შენი ცხენი შენგნით უკმაყოფილო მოუვლელობისაგან მალე მოკვდება და შენ მტერი იქნები იმ ჩვენი მუშურ-გლეხურ მთავრობისა, რომელიც დაღუპულ ცხენების ნაცვლად იძულებული ხდება ახალი ცხენები შეიძინოს და მშრომელი ხალხის აუარებელი ფული დახარჯოს.

1-ლ ქართულ მსროლელ დივიზიის ვეტ-ექიმი: **ფარეიშვილი.**

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.

— **რევტრიბუნალში.** 25 ივნისს ქართ. დივ. სამხ. რევტრიბუნალში გაირჩევა საავიაციო ესკადრონის ნ. მ. აბგარ აბგაროვის და დიმიტ. ლომაშვილის საქმე. ბრალდებათ ფულის მითვისება და ყალბი ანგარიშების შედგენა.

— **ავტომობილების მიმოსვლა.** დაიწყო ავტომობილებით მიმოსვლა აგარაკ ბორჯომ—ახალციხე—აბასთუმანის შორის.

— **უხვი დახმარება.** ქიმიურ თავდაცვის საზოგადოებას „დობროხიმის" სასარგებლოთ ქალაქის აღმასკომმა გადასცა 5.000 მანეთი.

— **წყლის გადასახადი მოსამსახურეთაგან.** ყველა სამხედრო მოსამსახურენი, პენსიონერები, ინვალიდები და სტიპენდიანტი სტუდენტები წყლის გადასახადის შესახებ შეღავათისათვის მოვალენი არიან წარუდგინონ სახლის მეპატრონეებს სამთვეში ერთხელ შესაფერისი მოწმობები.

— **მივლინება სამეცნიერო მიზნით.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ პროფ. ვირსელაძე მიავლინა საზღვარგარეთ მკურნალსობის ახალი მეთოდების შესასწავლათ.

— **ელექტრო სადგური აბასთუმანში.** უახლოეს მომავალში დასრულდება ელექტრო სადგურის აგება აბასთუმანში. აგარაკის ზოგიერთი ნაწილი უკვე განათებულია.

— **რაჭველების კრება.** ოთხშაბათს, 25 ივნისს საღ. 5 საათზე საზაფხულო ბაღ „არტოში", რაჭის მაზრის დამხმარე საზოგადოების მიერ მოწვეულია თფილისში მყოფ რაჭველ მოქალაქეთა კრება. გასარჩევია ფრიად საყურადღებო საკითხები.

— **ნიკო მარი გურიაში.** აკადემიკოსი ნიკო მარი ამჟამად იმყოფება გურიაში, თავის სამშობლო სოფელში.

— **ნიხრი ოთახებზე ბორჯომში.** ბორჯომის აღმასკომმა საიგარაკოთ გასაქირავებელ ოთახებზე დააწესა ნიხრი. ნიხრი ეხება აგრეთვე წაღვერს, ცემს და ბაკურიანს.

— **გორის ღარიბ მოსახლეობისათვის.** გორის აღმასკომმა გადასცა ადგილობრივ კოპერატივს ღარიბ მოსახლეთა შორის გასანაწილებლათ 4 ათასი ფუთი სიმინდი და ორიათასი ფუთი პურის ხორბალი.

— **გვალვა აფხაზეთში.** მიწადმოქმედების კომისარიატის ცნობით აფხაზეთში, გვალვების გამო გავრცელდა მეურნეობის მავნებლობა, რის წინააღმდეგ გადაწყვეტილია გადამჭრელი ზომების მიღება.

## ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ.

— **წითელ არმიელთა კლუბში.** დღეს, წითელარმიელთა ცენტრალურ კლუბის შენობაში გაიმართება დიდი სამხიარულო საღამო. წარმოდგენილ იქნება „მათიკო" და გაიმართება ახიური ცეკვა.

— **ლუნაჩარსკის საპატივსაცემო საღამო.** 25 ივნისს, ხელოვანთა სასახლეში საქართველოს მწერალთა კავშირი ამხ. ლუნაჩარსკის უმართავს საპატივსაცემო წვეულებას.

— **დისპუტი თეატრზე.** ოთხშაბათს რუსთაველის თეატრში ფორეგერი წაიკითხავს მოხსენებას ახალი თეატრის შესახებ. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: კ. მარჯანიშვილი, გრ. რობაქიძე, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, სუტირინი, ავერბახი, ჩერნიაევსკი და სხვ.

# ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ.

## ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ.

საქონელს სჭირდება განსაზღვრული საკვები.

საკვების დანიშნულება მრავალგვარია.

რძე, ხორცი, ქონი და სხვა საკვებიდან იქმნება. ეს არის საწარმოო საკვები.

არის კიდევ, ეგრედ წოდებული საარსებო საკვები. ცხოველის სხეული თბილია.

ამ სითბოს იძლევა მონელებული საკვები.

როდესაც ცხოველი მოძრაობს, სუნთქავს, ინელებს საკვებს, მას სჭირდება სამუშაო ძალა. ამ ძალას იძლევა მონელებული საკვები,

სხეულის ნაწილი ცვდება, მაგალითად საქონელს ბალანი სცვივა, ქერტლის სახით შორდება კანის ზედა ფენი და მათ ნაცვლად ახალი ჩნდება.

იგივე ხდება სხეულის შიგნითა ნაწილებში. სისხლის უმთავრესი ნაწილი იშლება და იხარჯება; დაშლილი სისხლის აღსადგენად ახალი ჩნდება.

რაც საკვები უფრო ნოყიერია, იმდენად ის ნაკლები სჭირდება საქონელს.

ასეთი საკვები უფრო ძვირიცა ღირს.

საკვების ნოყიერება დამოკიდებულია შემადგენელ ნაწილებისაგან, სადაც საკმაოდ უნდა იყოს ნოყიერი ნივთიერებანი.

უმთავრესი ნოყიერი ნივთიერებანი შემდეგია: ერთი ნაწილი გვხვდება იაფ საკვებში.

მეურნე ცდილობს ასეთი საკვები ბლომად შეაჭამოს საქონელს.

იაფ ფასიან საკვებში გვხვდება ნივთიერებანი, რომლებიც თავის შენობით და ნოყიერებით შაქარს და სახამებელს გვაგონებენ

შაქარი და სახამებელი ძალიან ბევრია ჭარხალში და კართოფილში. კართოფილის ფქვილი თითქმის მთლიად სახამებელია. შაქრის ჭარხლიდან კი კეთდება ჩვეულებრივი საჭმელი შაქარი.

ეს ნივთიერებანი ადვილი მოსანელებელია, მათი მეორე სახელი არის „წყალში ადვილად გასახსნელი ნახშირ წყლები".

ზოგიერთი ხმელი საკვებები თავის შემადგენლობით ძალიან გვანან ნახშირ-წყლებს, მაგალითად: ცელულოზა ხშირად შედის საკვებში.

ცელულოზა არის მცენარეების შემადგენელი ნაწილი, რომელიც აგებულობით ბადეს მოგვაგონებს.

ცელულოზა ნახშირ-წყლებზე ძნელი გადასალები და მოსანელებელია.

ნახშირ-წყლებიანი და ცელულოზიანი საკვები გემრიელი და ნოყიერია, მაგრამ გამოსაკვებათ უფრო ცილა არის საჭირო.

ნივთიერება ცილა ქათმის კვერცხის ცილას გვაგონებს.

გამხდარ ძროხის ხორცი, რომ გავახმოთ, ნახევარზე მეტი მშრალი ნივთიერება ცილა დადგება.

ქართოფილში კი ცილა ცოტა არის.

ბლომად არის კარგ ხორბლეულის ნარევში.

ამის გამო კართოფილით ხორბლეულის შენაცვლება საკვებში ვერ მოხერხდება.

ძალიან ბევრია ცილა კოპტონში, ცერცვში, მუხუდოში, უგრეხელში და ახლად ამოსულ საძოვარ ბალახში.

ბლომად არის ქატოში, ცერცოვან მცენარეთა, სამყურას და იონჯას თივაში.

ძალიან ცოტა არის სხვა და სხვა ნამჯებში, ხორბლეულის თავ-თავის ჩენჩოში, ფესვებში და გორგალ ნაყოფებში.

ცილოვანი საკვები ორგვარად არის სასარგებლო: 1) სხეული საკმაო მასალას ღებულობს ნაწარმოების დასამუშავებლად და 2) ხელს უწყობს სხვა საკვების მიერ მთლიანად მონელებას.

ამის გამო ცილათი მდიდარი საკვები ბაზარზე მეტსაც ფასობს.

მის შეძენაზე ფულის დანანება არა ღირს, რადგანაც დანახარჯი ერთი ორად ანაზღაურდება შემდეგში.

ბ.

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ

## ᲐᲛᲮ. ᲛᲐᲚᲩᲐᲜᲘᲡ ᲦᲐᲛᲘᲗ ᲡᲐᲡᲠᲝᲚ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ.

19 ივნისს თბილისის გარნიზონის სასროლ მოედანზე, მოხდა ამხ. მალჩანის ღამით სასროლი იარაღის გამოცდა. გამოცდას დაესწრენ ქართული დივიზიის უფროსი ამხ. ლექვთაძე, მისი თანაშემწე გიორგაძე და დივიზიის შტაბის უფროსი ამხ გობრონიძე. ამხ. მოლჩანის ხელსაწყოს დანიშნულება იმაში გამოიხატება, რომ მისი საშვალებით შესაძლებელია ღამით ტყვიამფრქვევებიდან წარმოებული იქნეს სროლა, დღისით დათვალიერებულ ყოველგვარ მიზნებზე.

მალჩანის ხელსაწყო შეგუებულია „მაქსიმა" ტყვიამფრქვევზე. ის წარმოადგენს ფირფიტას, რომელზედაც მოთავსებულია თარაზო და ყიბლანი. თუ ასეთი ხელსაწყოთი შეიარაღებული ტყვიამფრქვევით მოვახდენთ მიზანში გასროლას და ჩავიწერთ თარაზოს ჩვენებას, რომელიც თავის მხრივ აღნიშნავს სიმაღლის კუთხეს, და ყიბლანის ჩვენება რომელიც აღნიშნავს სროლის მიმართულებას მაშინ შესაძლებელი ხდება, მეორე ადგილიდანაც ვაწარმოოთ სროლა ნიშანში დაუმიზნებლათ თუ თარაზო და ყიბლანი დავაყენეთ პირველი ადგილისა და გასროლის საგნებზე.

ეს გარემოება ხემოაღნიშნულ ხელსაწყოს მეტად ღირებულად ხდის ღამით სროლის წარმოების დროს. თავისი აგებულობით ეს ხელსაწყო მეტის მეტად უბრალოა. ტყვიამფრქვევზე მომუშავე არმიელები ერთი შეხედვით შეეთვისენ მას და შემდეგ თავისუფლად აწარმოებდენ მიზანში სროლას მისი საშვალებით. გამოცდის დროს სროლა ვ წარმოეთ „მაქსიმის" სისტემის ტყვიამფრქვევით, რომელიც აღჭურვილი იყო სხვადასხვანაირი დისტანციის ხელსაწყოთი. გამოცდამ ვერ მოგვცა საჭირო სასურველი და ხელსაყრელი შედეგები: ხშირად ხდებოდა მიზნის გადაცილება ან მიზანზე მიუღწევლობა.

მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს რომ ხელსაწყოს იდეიური მხარე აუცილებლად სწორია და მძიმე ტყვიამფრქვევებიდან სროლისთვის, მისი კონსტრუქციის გაუმჯობესებით ფრიად სასარგებლო იქნება.

ჩვენი შეხედულებით ხელსაწყოს კონსტრუქციის გაუმჯობესება მიმართული უნდა იქნეს ტყვიამფრქვევიდან სროლის დროს მისი სითანასწორისა და გამძლეობის შენარჩუნებისაკენ, რომელიც მეტის მეტად ირღვევა ტყვიამფრქვევიდან სროლის დროს.

მეორე მხრივ საჭიროა ყიბლანი უფრო დიდი მოცულობის იქნეს და ელვარა ისრით, რაც სროლის მწარმოებელს შეძლებას მისცემს უფრო ადვილად უთვალთვალოს ყიბლანის ისრის გადახრას, რასაც აუცილებლად ადგილი ექნება სროლის დროს. ვიმედოვნებთ რომ სათანადო ტეხნიკურ გაუმჯობესებათა შეტანის შემდეგ აღნიშნული ხელსაწყო სავსებით გაამართლებს თავის დანიშნულებას.

ვეგე.


ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲙᲠᲐᲡᲜᲐᲘᲐ ᲖᲕᲔᲖᲓᲐ"-ზე

სამხედრო ნაწილები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოიწერენ ერთი მისამართით 28 ც. გაზეთს სამი თვით (ან 15 ც. 6 თვით, 10 ც. 3 თვით) მიეცემათ უფასო დამატება: მხატვრული კრებული—ალბომი **„დიადი საფლავთან"** მიძღვნილი **ვ. ი. ლენინის** ხსოვნისადმი.

**ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲨᲘ.**

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

1 თვით—1 მანეთი, 3 თვით—2 მანეთი 75 კაპ., 6 თვით—5 მან. 25 კაპ., 9 თვით—7 მან. 75 კაპ., ერთი წლით—10 მ.

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ-ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

№ 1.

„ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲒᲣᲨᲐᲒᲘ"

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.

ყიდვა და გამოწერა კრებულისა შეიძლება შემდეგი მისამართით: **კეცხოველის ქუჩა** (ყოფ. ლორის-მელიქოვისა), **სამხედრო კომისარიატის სტამბის შენობა, სარედაქციო-საგამომცემლო კოლეგიის ბინაზედ.**


# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ქართულ მსროლელ დივიზიის ცენტრალური კლუბი ამით აცხადებს, ყველა წითელ-არმიელების საყურადღებოთ, რომ საზაფხულო საგარნიზონო კლუბში, რომელიც მოთავსებულია პლეხანოვის ქუჩაზე ქალაქის მთავარ საავადმყოფოს პირდაპირ **მათ აქვთ უფლება უფასოთ შესვლისა.**

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1000 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.